სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/08

ქ. თბილისი

02 02 2018 წ.

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლია № 27 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს თებერვალში სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე.
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ. ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე (იხ.დანართი) 2018 წლის 26 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე.
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ის კანცელარიას;
5. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 2 მარტს 10^{00} საათიდან სტუ-ის საგამოცდო ცენტრში (სტუ-ის I კორპუსი, კოსტავას ქ. 68). საპრეტენზიო განცხადებების მიღება იწარმოებს 2 მარტს 14^{00} საათიდან 4 მარტის 16^{00} საათამდე, მათი განხილვა 4 მარტს 16^{00} საათიდან. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 4 მარტს;
6. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2018 წლის 5 მარტს 11^{00} საათიდან; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს იმავე დღეს 5 მარტს.

7. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2018 წლის 5 მარტის 16^{00} საათიდან 6 მარტის 16^{00} საათამდე, მათი განხილვა – 7 მარტს11^{00} საათიდან;
8. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 7 მარტს;
9. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2018 წლის 12 მარტამდე;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს.
11. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი